# სოციალდემოკრატიული ფურცელი

ქუთაისი,
ოთხშაბათი. 28 დეკემბერი
1905
ნომერი 3 კაპიკი. ✳ წლიწადი პირველი.

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 11. ყოველ-დღიური გაზეთი. № 11.



[illegible] სახელმწიფო [illegible]
ბიბლიო[illegible]


მელქისედეგ გრიგოლის ძე შალავა შეილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქალიშვილისას და დანარჩენები დისას

ელპიტესას (ბაბულიკასას)

წასვენების დღე დანიშნულია 29 დეკემბერს, ხუთშაბათს, დილის $11^1/_2$ საათზე. პანაშვიდები დანიშნულია 28-ს, დილის 10 ს. და ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება იქნება შალინოვის სახლებიდან გაგარინის ქუჩაზე.

ლიბერალ ვიტტეს კაბინეტი ცურავს მოსკოვის პროლეტარიატის სისხლის მორევში. ბალტიის მხარეში აჯანყებულ ხალხმა ზარბაზნები და პულემეტები ჩაიგდო ხელში. პეტერბურგი შეიარაღებულ აჯანყების მოლოდინშია. თბილისის ქუჩებში არტილერია მუშაობს.

### რუსეთის ვანდეია.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ, როდესაც თავისუფლების დროშა უკვე ფრიალობდა თავისუფალ სახელმწიფოში, ახალი წესწყობილების [illegible] და ძვე-ლის აღსადგენათ ამხედრდა საფრანგეთის ერთი პროვინციის გლეხობა. ამ პროვინციას სახელათ ვანდეია ეწოდება. ამის შემდეგ სიტყვა ვანდეია გაქდა საზოგადო სახელათ იმ კუთხეებისთვის, რომელნიც შედარებით სახელმწიფოს სხვა ნაწილებთან უფრო ჩამორჩენილია, რეაქციონური და ამნაირათ წარმოადგენენ საფრთხეს განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის. აი ასეთ ვანდეიას რუსეთში წარმოადგენს ის ოლქები, სადაც კაზაკები მოსახლეობენ. ყველაზე უფრო რეაქციონური ელემენტი რუსეთში არის კაზაკთა წოდება. ეს გარემოება, რასაკვირველია, აიხსნება იმ ეკონომიური პირობებით, რომელშიაც ცხოვრობენ კაზაკები. მთელ რუსეთის გლეხობასთან შედარებით კაზაკები ყველაზე უფრო უზრუნველყოფილია ნივთიერათ. თითო სულზე დაახლოვებით მოდის 30 დესიატინა „ნადელი“. მეორე მიზეზი არის ის გარემოება, რომ კაზაკები წარმოადგენენ ერთ მთლიან სამხედრო წოდებას, რაიც ძლიერ უწყობს ხელს მათი კასტიურ სულის განვითარებას. მილიტარიზმი კი მონარხიის მკვიდრი ძმა არის. აი რისთვის იცავს ასე თავგამოდებით კაზაკობა აბსოლიუტიზმს. ამნაირათ დღევანდელ რევოლიუციაში კაზაკობა ესარჩლება თვითმპყრობელობას, იმ თვითმპყრობელობას, რომლის წინაამდეგ ბურჟუაზიაც კი იბრძვის. ამიტომაც კაზაკთა წოდების დაშლა ამ დროს გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე შემდეგ, როდესაც ესა თუ ის თავისუფალი სახელმწიფოებრივი ფორმა ჩამოყალიბდება, რის შემდეგ რუსეთის ბურჟუაზია არა ერთ და ორ ნაბიჯს გადადგამს მარჯვენით რეაქ-[illegible] მოიყენებს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ბურჯს პროლეტარიატთან ბრძოლაში. ტყვილა კი არ განუძრახავს აი სამი-ოთხი წლის წინათ ავსტრიის ბურჟუაზიულ მთავრობას თავის სახელმწიფოში „რუსული კაზაკების“ მოშენება. ამნაირათ დღეს თუ ეს წოდება თვითმპყრობელობას ესარჩლება და ამნაირათ გზაზედ ელობება ბურჟუაზიული რევოლიუციის საქმეს, ხვალ ის არა ნაკლებ ქომაგათ გამოადგება ბურჟუაზიას პროლეტარიატთან ბრძოლაში. ამიტომაც პროლეტარიატმა სხვათა შორის უნდა დაისვას მიზნათ კაზაკთა წოდების სრულიად დაშლა. მართალია, დღეს ჩვენ თვალწინ ხდება კაზაკთა წოდების დაშლა, მისი დიფერენციაცია, რაიც მოსალოდნელი იყო, რადგანაც კაპიტალიზმი მედგრათ შეიჭრა მათ წრეში და, როგორც ყოველ წოდებას, ისე კაზაკთა წოდებასაც შლის. ამნაირათ კაზაკთა წოდების დაშლა, რეაქციის ბუდის განადგურება ეს დრო და კაპიტალიზმის საქმეა, მარა რევოლიუციონური ხანით სარგებლობა და ამ პროცესის დაჩქარება კი—ჩვენი.

---

## დეპეშები.

**თფილისი.** 17 დეკემბერს ნახალოვკაში მოხდა შეტაკება კაზაკებსა და მუშებს შორის. მოკლულია ხალხის მხრით 8, დაჭრილია ორი. მოკლულნი და დაჭრილნი არიან ჯარების მხრითაც. მეორე დღეს ნახალოვკას შემოერტყა ჯარები ზარბაზნებით. 18-ს ააფეთქეს ეკონომიური საზოგადოება. მოკლეს 8 ოფიცერი და ერთი გენერალი. თბილისის [illegible]ში კაზაკები დგას. გზა ზოგიერთ ალაგას გაფუჭებულია. თბილისის პროლეტარიატი ემზადება უფრო სერიოზულ რევოლიუციონურ გამოლაშქრებას.

**თფილისი.** ვერას ალყა შემოარტყა ჯარმა. დრუჟინიკები ყოველ დღე კლავენ სამ-ოთხ კაცს.

**სამტრედია.** ლანჩხუთიდან გვატყობინებენ, რომ კაზაკებმა ქობულეთის სადგურიდან მოსამსახურეები გააძევეს და სადგური თვითონ დაიჭირეს. ბათუმიდან არავითარი ცნობა არ მოდის, ვინაიდგან სადგურზე არავინ არის.

**უზირილა.** მიხაილოვიდან არავითარი ცნობაა. მიხაილოვსა და ვარვარინოს შორის ქარ-ბუქის გამო გზა და ტელეგრაფი გაფუჭებულია.

**თფილისი.** 22 დეკემბერს, შუაგულ სალდათის ბაზარზე, როდესაც აუარებელი ხალხი ყოფილა შეგროვილი ქუთაისის ნომრების მახლობლათ და ყველა დუქნებ-ტრაქტირებში, ვილაცას ზევიდგან უსვრია იქვე მდგომი ორი კაზაკისთვის ყუმბარა. მალე მთელ ამ ადგილას შემოარტყმია ჯარები, მოუტანიათ ზარბაზნები და დაუშენიათ მთელი შენობისთვის, რომელშიაც ქუთაისის ნომრებია, ექვთიმე ხელაძის სტამბა და მრავალი სხვა სავაჭრო სახლები. ზარბაზნის სროლის შემდეგ შენობას გაჩენია ცეცხლი და სრულიად გადამწვარა შენობა. შიგ ბევრი მოყოლია და ვინც ზარბაზანს გადაურჩა ის ცეცხლის მსხვერპლი შეიქნა. მსხვერპლთა რიცხვი უდრის რამოდენიმე ასს. მეორე დღეს ვილაცას გოლოვინის პროსპექტზე ნიღიორკის სასტუმროდან გადმოუგდია ყუმბარა. ყუმბარას რამდენიმე კაცი მოუკლავს [illegible] ჩენილა, მოუტანიათ ზარბაზნები და დაუშენიათ იმ შენობისთვის, საიდანაც ყუმბარა გადმოუგდიათ. შენობას ცეცხლი გაჩენია და სრულიათ მოსპობილა. მსხვერპლი აქაც ბევრი ყოფილა. ეს მოხდა 23-ს, 24-ს კი მხოლოთ ზოგიერთ ალაგას ყოფილა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სროლა.

### რევოლიუცია მოსკოვში.

**პეტერბურგი,** 14 დეკემბერი. მოსკოვში მიდის მთელი სემიონოვსკი პოლკი, კავალერია და არტილერია. ეს არის ტელეფონით გვაცნობეს მოსკოვიდან, რომ ძლიერ სერიოზული მდგომარეობაა. მცხოვრებლები უკიდურეს ხარისხამდის აღელვებულნი არიან. დრუჟინიკების ენერგია არ სუსტდება. კურსკის გზის უმახლობელესი სადგური რევოლიუციონერების ხელშია.

**პეტერბურგი,** 14 დეკემბერი. მოსკოვში მოხთა საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება. გვატყობინებენ, რომ ჯარებმა დახვრიტეს სანიტარული რაზმები და სამკურნალო კარეტები. რევოლიუციონერებმა გადაწყვიტეს ხელში ჩაგდება ქალაქის ყველა შენობებისა ჭრილობების შესახვევათ და სასამართლოების გასამართავათ. ღამდება, მოისმის საშინელი სროლა ზარბაზნებიდან. დაუშინეს „ოხოტნი რიადს“ ხმოსნები საჩქაროთ ტოვებენ საბჭოს ზალას, მაგრამ ბევრი ვერ ახერხებს შინ წასვლას. ხმო-

ნებმა გადაწყვიტეს საბჭოს დარბაზში დარჩენა და სხდომის გაგრძობა და მიიღეს რეზოლიუცია: არეულობები, აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც დღეს რუსეთია, კერძოთ მოსკოვი, უმთავრესათ იმით აიხსნება, რომ მთავრობამ დაკარგა ყოველივე ნდობა, მთავრობა აგვიანებს ცხოვრებაში გატარებას 17 ოქტომბრის მანიფესტი.

**პეტერბურგი**, 13 დეკ. გუშინ დილის $11^1/_2$ საათზე განაგრძობდენ თოფის, რევოლვერების და არტილერიის სროლას. კუდრინის მოედანზე სახლი დაქცეულია. ესროდენ სახლებს ბალის ქუჩაზე და „აკვარიუმის" თეატრში. ქუჩებში ჩნდებიან მარტო დრაგუნები, კაზაკები და რევოლიუციონერების მებრძოლი რაზმი. მცხოვრებლები ჩაიმალენ სახლებში, ჩაიკეტეს კარ-ფანჯრები და ჭიშკრები; შესავალ-გამოსავლებში ბარიკადები გაიკეთეს. სახლებში ბევრი შემთხვევითი მსხვერპლებია. მთელ დღეს გაგრძელებული სროლა მხოლოთ საღამოს $5^1/_2$ საათზე შეწყდა. სროლა ისევ ასტყდა საღამოს $8^1/_2$ საათზე. არტილერიამ ვერ დაანგრია დიდი ბარიკადები პატრიარქთა მოედანზე, სპირიდონოვკა, ბრონნაიაზე, ბალაშოვის შესახვევში და სხვა ადგილებში. ქალაქში გაკრულია რევოლიუციონერების მოწოდება, რომელშიაც თხოვენ სახლის [illegible] კარებს ნუ ჩაკეტენ. პოლიცია ამ მოწოდებებს ხევდა.

ამბობენ რევოლიუციონერებს აქვთ ოთხიდან ექვსამდე ტყვიის მფრქვევლები ახალი სისტემის. მათ ახალ ძალებს ჯერ არ დაუწყია მოქმედება და დღეიდან დაიწყებენ ბრძოლას მათი მებრძოლი რაზმები.

სიტინის ტიპოგრაფიაში მოხდა 6000 კაცის მიტინგი. ჯარი გარს შემოერტყა და მოითხოვა დანებებოდენ. ამაზე რევოლვერების და თოფების სროლით უპასუხეს. ამბობენ, სამი ბომბიც ისროლეს. არტილერიამ დაიწყო წინა ფასადის სროლა. ყოველ წუთში სროლა მატულობს. მუშებმა დაინახეს თუ არა დაღუპვა აუცილებელია, იფიქრეს, ამ არეულობაში გადარჩენა და რამდენიმე ალაგას გააჩინეს ცეცხლი სახლში. ბევრი და მათ შორის მებრძოლი რაზმი გადარჩა. ბევრი კი ცეცხლისა და ტყვიისაგან დაიხოცა. სტამბის სარდაფში, ამბობენ, 70 კაცი დამწვარა.

საღამოს სახლებში სრული სიბნელეა. მცხოვრებლებს სანთლის ანთება აეკრძალათ. მრავალი ხალხი შიმშილით იხოცება. ბავშვებისა და ქალების კივილ-ტირილია. აუარებელი ავათმყოფებია, მარა შველას ვერ აძლიან. სახლებიდან თავის გამოყოფა შეუძლებელია.

გუშინ ცეცხლი გაუჩინდა რიაზანის რკინის გზის სახალხო მატარებელს.

არტილერია ანადგურებს ვაგზალს და მახლობელ სახლებს, სადაც ჩასაფრებული იყვნენ რაზმები. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში ცეცხლი მძვინვარებს.

„პეტერ. გაზეთში" მნახველი გვიამბობს, რომ მოსკოვში მესამე დღეა სისხლის ღვრაა. მოძმეთა სისხლით შეღება პირველი სატახტო ქალაქის ქუჩები, ყურები დაყრუებულია ტყვიების და შრაპნელების ზუზუნით. ყოველივე ეს ირევა დაჭრილთა და შეშინებულთა ტირილ-კივილში: გუშინდელმა ამბებმა ყველა მოღალა. დღეს სრულიად შეუძლებელია ქუჩებში გამოსვლა. როგორც ვინმე გამოჩნდება, მაშინვე ესვრიან. აქამდი ქალაქის შუაგულში იყო სროლა, ახლა განაკიდეებშიაც დაიწყეს. ვაგზალთან ხალხს ტყვიის მფრქვევლები ესროლეს და გაწყვიტეს. უსაზარლესი სანახაობაა, რომლის მსგავსი წარმოუდგენელია.

გუშინ მოსკოვიდან პეტერბურგში ჩამოვიდა შორეულ აღმოსავლეთიდან დაბრუნებული მატროსების ეშელონი. მოსკოვში იმათ აღტაცებით შეხვედრია, რევოლიუციონერების კომიტეტის წარმომადგენელნი და მიაწოდეს მათ სასმელ-საჭმელი. მათში იყვნენ ვინტოვკებით შეიარაღებული ქალებიც.

მანჯურიის გმირი მიშჩენკო დაუნიშნავთ მოსკოვის გრენადერის კორპუსის კამანდირათ. ამბობენ იგი მოს- [illegible]

სოც. დემოკრატები, რომელნიც შეადგენენ უმრავლესობას მოსკოვის მუშათა დეპუტატების რჩევაში, ენერგიულათ უარყოფენ კონსერვატიული გაზეთების ცნობებს, თითქოს შეიარაღებული აჯანყება გამოეცხადებიოთ დანიშნულ დღეს და საათს. ნამდვილათ კი დადგენილი იყო გამოეცხადებია საერთო გაფიცვა 7 დეკ. 12 საათზე. სოციალ-დემოკრატები აცხადებენ, რომ მათი მოქმედების პლანს არ შეადგენდა საბჭოს აღება და არც შტურმით ღენერალ-ღუბერნატორის სახლისა.

გუშინ არტილერიამ გაანადგურა 30 სახლი. ტვერის ქუჩაზე და ბრონნაიაზე მრავალ სახლებს ესროდენ. დაუშინეს თოფები სამრეწველო სასწავლებელს, სადაც ეგონათ რევოლიუციონერების სასადილო. დიდი ცეცხლი გააჩინეს გრომოვის სახლში, სადაც მრავალი ხალხი დაიწვა, დაიჭრა და გადმოცვენილი დაიხოცენ. ბევრი მახლობელი სახლებიც დაიწვა.

პეტერბურგიდან მოსკოვში გაუგზავნიათ მატარებელი სამარი პატრონებით; 30 ვაგონში იყო გვარდიის არტილერიის იარაღი.

**მოსკოვი**. 17 დეკემბერი. ღამით პროხოროვის მანუფაქტურასთან ესროდენ ბარიკადებს, რასაც 10,000 მუშები და რევოლიუციონერები იცავდენ. მანუფაქტურას გარშემო ჯარი აკრავს. მოსკოვ-რიაზანის რკინის გზაზე 200 რევოლიუციონერი და 7 სალდათია დაჭრილი.

**ვარშავა**. ოფიციალური ცნობაა, რომ 80 შეიარაღებული კაცი ხანჯლებით და ყუმბარებით დაეცენ მოზევეცკის ხაზინას, კასსის კარები ააფეთქეს, წაიღეს 463.000 მან. და იქვე დატოვეს სამი ყუმბარა, ლომი, ცულდი და სხვა იარაღები. ზამბროვში ამ ფულების 6.000 მ. ხურდა ნახეს.

გუშინ 11 საათზე სადგ. ლიუბლინიდან ორი ვერსის მანძილზე 70 საჟენიანი ხიდი ააფეთქეს.

**პეტერბურგი**. 13 დეკ. სამხრეთსა და პეტერბურგ შორის ტელეგრაფი და დანიის კაბელიც არ მუშაობს.

**პეტერბურგი**. პეტერბურგიდან მომავალ მატარებლებს ჯარი ახლავს და იცავს.

რიაზანო-ურალსკის ლიანდაგზე ყველა გაიფიცა. სამხრეთ აღმოსავლეთის გზაზე გაფიცვა გრძელდება. მოსკოვსა და პეტერბურგს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია. „სინ ოტეჩესტვის" სტამბა მთავრობამ დახურა და დაბეჭდა.

**პეტერბურგი**. 14 დეკემ. დღეს დიდძალი პოლიციელები მღვდლის სოკოლოვის შვილს გასაჩხრეკათ დაეცა. ამ უკანასკნელმა გაჩხრეკის დროს 5 ჯერ ესროლა უბნის ზედამხედველს და დასჭრა. პოლიციელებმა ერთბაშათ სოკოლოვს ეს[illegible]

**პეტერბურგი**. სიტინის მუშების სიტყვიდან სჩანს, რომ სტამბას ცეცხლი მუშებმა კი არ გაუჩინა, არამედ ჯარმა. ცეცხლის მქრობი რაზმი მარტო გარშემო სახლებს იცავდა. ეხლა იწვის მუსიკის მოედანზე უსტინოვის სახლები; შესაძლებელია ცეცხლი წაეკიდოს და გადაბუგოს მრავალი ხე-ტყის საწყობები, რაც მილიონი მანეთი ღირს. ცეცხლი არტილერიის მოქმედებით გაჩნდა. ცეცხლის მქრობ რაზმს არ უშვებენ პრესნენსკის ვალის რაიონში, სადაც ექვს-ექვს რიგათ ბევრი ბარიკადებია აგებული. არის სილიანი ტომრების ბარიკადები, რომელიც წყლითაა დასველებული. სინების ჯებირი 20 ვერსტის მანძილზეა. აფიცრებს ქალაქში მცველები დაყვება; მარტოთ მიმავალ აფიცრებს მილიციონერები დაუყოვნებლივ იარაღს ართმევენ და, ვინც წინააღმდეგობას გასწევს, ხოცვენ. დაჭრილთა შორის ბევრი დედაკაცები და ბავშვებია. ვინაიდგან დაჭრილთათვის თავშესაფარი არსა არაა, ამიტომ თვალის და დედათა საავათმყოფოებში აწვენენ. ქუჩები უდაბნოს წარმოადგენს.

**პეტერბურგი**. 14 დეკემბერი. „სლოვო" გადმოგვცემს, რომ ხარკოვში აჯანყებულმა ხალხმა ჩაიგდო ხელში გელფერიხის ქარხანა. არტილერიამ ექვსჯელ გაისროლა; მოკლა 20-მდე; დაჭრა 80-მდე. საღამოს ხარკოვის განაპირა ადგილებში აკეთებდენ ბარიკადებს ფარნების ბოძებისაგან, წაქცეული ტრამვაის ვაგონებისაგან და ტელეგრაფის ბოძებისაგან.

სატახტო ქალაქის გაზეთები ვერ დააკმაყოფილა საარჩევნო კანონებმა, რომელნიც, „ნოვოსტის" აზრით, შეადგენენ მთავრობის ფინანსურ ხრიკებს.

„პეტერბურგის გაზეთის" სიტყვით, გუშინ ღამე დაიჭირეს ორი ინჟინერი, რომელნიც სარევოლიუციო პარტიების სათავეში მდგარან. ისინი ამზადებდენ თურმე შეიარაღებული აჯანყების პლანს პეტერბურგში.

დაიჭირეს რკინის გზის კავშირის წევრები ლუტუგინი და ორეხოვი.

პალატის დადგენილებით შეჩერებულ იქმნა გაზეთი «დერ ფრაინდი» მუშების მანიფესტის დაბეჭდვისათვის. „ნაშა ჟიზნის" მაგიერათ დღეს გამოვიდა გაზეთი „ნაროდნოე ხოზიაისტვო", რომელიც გადმოგვცემს, რომ ბალტიის მხარეში გაბატონებული არიან ლატიშები. მათი ძალები უდრის 80,000 კარგათ შეიარაღებულ მებრძოლთ. ამათგან 20,000 იცავს საზღვრებს და 60,000 ასრულებს შინაგან სამსახურს. ლატიშებს აქვთ ჩქარა მსროლელი ზარბაზნები და ტყვიის მფრქვევლები.

აჯანყებულთა ხელშია 150 ნემეცთა მამული.

დახოცილთა რიცხვი აჯანყებულებიდან და ჯარებიდან უდრის 850-900. ორშაბათს მოხდა ახლათ შემდგარი მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა.

პოლონეთიდან მოსულმა წარმომადგენელმა აცნობა საბჭოს, რომ 14 დეკემბრიდან მთელ პოლონეთში დაიწყება საერთო პოლიტიკური გაფიცვა შეიარაღებული აჯანყებით.

**პეტერბურგი**. 15 დეკემბერი. „ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ ეკატერინის გზაზე შესდგა ექვსი რევოლიუციონერთა ორგანიზაცია, რომლებმაც დახურეს რკინის გზის ყველა დაწესებულებები და გააძევეს კანონიერი მმართველები. გაიგზავნა გზაზე ჯარები, რომლებსაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ვალკ—შტოკმანსგოფის ლიანდაგი აჯანყებულების ხელშია.

„პეტერბურგის გაზეთი" წერს, რომ სათანადო წრეებში სიჩქარით ამუშავებენ შეიარაღებულ აჯანყების საწინააღმდეგო პლანს პეტერბურგში. ყოველ დღე ღებულობენ მოსკოვიდან დაწვრილებითი ანგარიშებს აჯანყებულთა ტაქტიკის შესახებ, ბარიკადების შენების და მათი რიცხვის შესახებ

---

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ
ბიბლიოთ

# ახალი ამბები.

—

ყვირილაში გუშინ ყუმბარის უბერხულათ ხმარებას უმსხვერპლია ადგილობრივი საურთიერთო ბანკის დირექტორი ვანო არდიშვილი და ერთი მუშა. დაჭრილია საქარის სანერგეს მებაღე გ. ჩიკაძე.

•• გუშინ ქ-ნ ელენე გომართელის ხელმძღვანელობით ქალაქის კლუბში გაიმართა ბავშვებისათვის საშობაო საღამო, რომელიც ფრიად შინაარსიანი იყო. საღამო იყო გამართული 6—13 წლის ქალ-ვაჟებისათვის. ხელმძღვანელ მასწავლებელ ქალებს მშვენივრათ მოემზადებიათ ბავშვები: ისინი მკაფიოთ და მწყობრათ კითხულობდენ ქართულ-რუსული ლექსების კუპლეტებს, ამღერებდენ როიალსა და სკრიპკაზე სასიამოვნო სიმღერებს და დიდი თანაგრძნობა გამოიწვიეს დამსწრეთა შორის. გამართეს აგრეთვე ცოცხალი სურათები ბავშვებისაგან და ბოლოს მშობლებ-ნაცნობებთან ერთათ ათამაშეს ისინი მუზიკაზე, დაურიგეს მათ საჩუქრები და 11 საათზე ყველამ თავთავიანთი ბავშვები ნასიამოვნები წაიყვანეს შინ.

შემდეგ გაიმართა ვახშამი დამსწრე საზოგადოებისაგან, რომლის დიდი ნაწილი, დემოკრატები იყვნენ. ვახშამზე მრავალი საგულისხმო სიტყვები წარმოითქვა მოსკოვის უკანასკნელ ამბების გამო და ადგილობრივ ცხოვრების მიმდინარეობას შესახებ.

საღამოს მრავალი მუშა და საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი დაესწრო და მეტათ საშინაო, არა ოფიციალური ხასიათი ქონდა: ყველა თავისუფლათ და გულწრფელათ ლაპარაკობდენ.

საღამო სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის სასარგებლოთ იყო გამართული და 300-400 მან. დარჩა შემოსავალი.

ხსენებულ კლუბში იშვიათია ასეთი საგანგებო საღამოს გამართვა.

•• გუშინწინ არქიელის გორაზე რამოდენიმე კაზაკი ავიდა, დაათვალიერეს ციხის ნანგრევები და რამდენიმე სახლები, სადაც ს. რევ. წითელი რაზმელები ეგულებოდათ, მაგრამ ვერავინ ნახეს და უკან გამობრუნდენ.

•• გუშინ ბესარაბიის პოლკის სალდათებს მიტინგი ქონდათ დანიშნული, მაგრამ აღარ შესდგა, რადგან მიტინგზე მივიდა კაზაკთა აფიცერი და მოითხოვა, რომ ისინი დაშლილიყვნენ და, როცა ამაზე უარი მიიღო, მაშინ უბძანა თავის მომხრე სალდათებს „იარაღი აიღეთ, ძმებო“ და ამათაც მიაშურეს კაზარმებს. მეორე მხარეც ამ მიზნით გაეშურა კაზარმებში და შემდეგ მოედანზე არც ერთი არ გამოსულა.

•• ქუთაისში შესდგა ახალი პარტია ქართველ კონსტიტუციონალისტ-ავტონომისტებისა, რომელსაც მეთაურობს დავით ლორთქიფანიძე და დავით მიქელაძე. ამ პარტიაში ჩაწერილან ყველა ძველი „მოლვაწეები“ და არსებულ პარტიების გარეშე დარჩენილი ახალგაზდა მოინტელიგენტენი. პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ ვიქონიებთ მათზე ლაპარაკს.

•• ამ ორი დღის წინათ სალდათებმა გაანადგურეს ორი მეწვრილმანის დუქანი. როგორც გამოურკვევია ყუბანის პოლკის უფროსს, ეს სალდათები დაუთვრიათ ვიღაც მოქეიფე „ძმა ბიჭებს“ და მერე შეზარხოშებულ სალდათებს იერიში მიუტანიათ მეწვრილმანეების დუქნებზე.

პოლკის უფროსს დაუბარებია დუქნების პატრონები და უთქვამს ანგარიში წარმომიდგინეთ და გიზღავთ ზარალსო.

—

## Vწერილი ლეჩხუმიდან.

—

დღევანდელი მოძრაობა. წითელი დროშით მგზავრობა. სოციალ-დემოკრატები და სოც. ფედერალისტები. წითელი რაზმის დატყვევება. ბოქაულის დატუსაღება და ხულიგანების დარბევა.

ახალი მოძრაობის ძლევამოსილმა სულმა ლეჩხუმშიაც დაბერა: დღეს ვერც ერთ კუთხეს ვერ ნახავთ, რომ კრებები არ იმართებოდეს იმ საჭირბოროტო კითხვების გამოსარკვევათ, რომელნიც დღევანდელმა დუხჭირმა ცხოვრებამ წამოგვიყენა. ყოველგვარ საქმეს თითონ არჩევენ იმ წესით, რა წესითაც ხელმძღვანელები არიგებენ და ეს ყველა სრული თავმდებია ძველი წესწყობილების ყოველ მხრივ სამუდამოთ ჩამოშორების. ლეჩხუმში მუშაობდენ და დღესაც მუშაობენ სოც. დემოკრატები, რომელთადმი ხალხის სიმპატია განუსაზღვრელია; ორგანიზაციულათ თითქმის ყველა საზოგადოებები მოწყობილია, წითელი რაზმი მთელ მაზრაში სვანეთიანათ მზათ არის 600—800 კაცი, რომლებიც თავისუფლებისა და სიმართლისათვის სისხლის დაღვრას დიდებათ მიიჩნევენ.

პირველი ადგილი სადაც წითელი სოც. დემოკრატიული დროშა აღიმართა ლეჩხუმის მივარდნილ მთაგორებში, - ეს დაბა ლაილაში იყო; აუწერელია ის აღტაცება, რომლითაც ხალხი მიეგება თავისუფლების დროშას „ვაშათა“ და „თავისუფლების დროშას გაუმარჯოს“ ძახილი მიდამოებს აბრუებდა და უსაზღვროთ გამხნევებული ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა, დროშით გაემგზავრენ ცაგერისაკენ, იქიდან ნაყურალების საზოგადოებაში და სხ. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა სოც. დემოკრატ. და თავისუფლების ემბლემას, წითელ დროშას.

ყველასათვის ცხადზედ უცხადესია, რომ ის, რაც კეთდება დღეს, ან აქამდე გაკეთებულა, ეს ყველა სწორ უპოვარი პროლეტარიატის წყალობით, რომლის მედგარმა მარჯვენამ საკმაო სისხლი დაღვარა თავისუფლებისა და სიმართლისათვის ბრძოლაში და, როდესაც თავგანწირულათ მებრძოლმა სოც. დემოკრატიამ უკვე მოამზადა ნიადაგი ახალი ცხოვრებისათვის და მით შესაფერი ელფერი დასდო დღევანდელ საერთო განმანთავისუფლებელ მოძრაობას აი, ამ დროს ამ გამზადებულ ნიადაგზედ ცხადდებიან ეს ძალით მაცხონე ვაჟბატონები და გინდათ თუ არა მიიღეთ ჩვენი პროგრამაო, ჩასჩიჩინებენ ხალხს. აი ამ ძალათ მაცხონეებმა ლეჩხუმისაკენაც გადისროლეს თავიანთი წვერმოტეხილი ანკესი, მაგრამ ორიოდე გეროლდიის აზნაურების მეტი არავინ ამოყოლია, რასაც დიდი სიამოვნებით უთმობთ.

წასულ კვირეში დებატები იყო გამართული ფედერალისტებთან; ბევრი მოკაზმული სიტყვები დახარჯეს ხალხის თვალის ასახვევათ. ახლა რომ ვერას გახდენ ხალხის მისამხრობათ, შემდეგი ხერხი გამოიგონეს: „ჩვენ ფულებს არ ვღებულობთ, იქიდაც ვარიგებთ, როგორც ფულს, ისე იარაღებსაც და, თუ ვინმე მოვიდეს რომელიმეს აიაღებათ, ის ნამდვილი ხულიგანი იქნება და, რაც გერჩიოთ ის უქენითო“, ურჩევენ ისინი ხალხს. მკითხველი აშკარათ დაინახავს თუ რამდენათ აშკარავდება ამ სიტყვებით მათი ფიზიონომია. ამ სიტყვებმა მხოლოთ იქ იქონია გავლენა, სადაც სოც. დემოკრატებს ჯერ პროპაგანდა არ გაუწევიათ (მირჩენილ საზოგადოებაში). აი ამგვარი ხულიგანური აგიტაციის ნაყოფი იყო ის, რომ იმ საზოგადოებაში იარაღის ასაღებათ მოსული წითელი რაზმი დაატყვევეს და ინკვიზიტურათ აწამეს, თითქმის დაწვასაც კი უპირებდენ, რომ ნავთის სიძვირეს ხელი არ შეუშალა. შემდეგ გადაუწყვიტეს გატიტვლება და ხუთმეტ წამს ყინვაში გაჩერება, მაგრამ ეს ვერ მოიყვანეს სისრულეში, რადგანაც წითელ რაზმელებმა ყველამ სიკვდილი არჩიეს, ვინემ ამაზედ დათანხმდებოდენ; საწყლებს არაფერმა არ უშველათ, თუმცალა ბევრი დასამტკიცებელი საბუთები ქონდათ იმის, რომ ისინი ყაჩაღები არ იყვნენ; ვინ იცის როგორ წავიდოდა საქმე, რომ ადგილობრივ ლეჩხუმის მუშათა სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციას არ მიეღო ზომები მათ განსათავისუფლებლათ.

Vმკითხველო, წაიკითხავდით ფედერალისტების ფურცელს რომელშიდაც ისინი ვითომ ლეჩხუმელ გლეხებს ალაპარაკებენ შემდეგს: „მართალია, წინეთ სოც. დემოკრატები მუშაობდენ ჩვენში და ჩვენც მათ მოძღვრებას მივდევდით, რადგანაც უკეთესი პარტია ვერ წარმოვიდგინა, მაგრამ მოგვხედა ღმერთმა მისი მოწყალე თვალებით და გამოგვიგზავნა ჩვენ ტანჯულებს მესსია, რომელიც უსათუოთ გვიხსნის აუწერელ ტანჯვა-წამებისგან და დაგვიარსებს სამოთხესო; ესენი ფედერალისტები არიან და ჩვენც მათ ვეკუთვნითო“. ამნაირათ მთელი ლეჩხუმის გლეხობა უკვე მათ ხელშია. ვითომ ორგანიზაციაც მოაწყვეს და სხ., მაგრამ ეს სულ ტყუილია.

ხალხს ვერ მოატყუებთ თქვენი დემაგოგიური ხრიკებით, თქვენი ბურჟუაზიული მისწრაფებათა განსახორციელებლათ.

სვანებში იმდენათ განუსაზღვრელია ანტიპატია ბოლო მოღებულ მთავრობისადმი, რომ მთავრობის კაცებს იქით აღარ ატარებენ; წინაზედ ხომ მაზრის უფროსი დაატყვევეს, ახლა პრისტავი იაშვნკო თავის სტრაჟნიკები, დაუტუსაღებიათ.

ამ ბოლო დროს, როცა ცაგერის ადმინისტრაცია მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, ხულიგანებს მიმართა შემწეობისათვის: იქაურმა მაზრის უფროსმა თორმეტიდან ოც თოფამდის თავის პატრონებით დაურიგა მკვიდრთაგან შემდგარ ხულიგანურ რაზმს, არ გასულა ერთი კვირა დღიდან თოფების დარიგებისა, რომ სვანეთის წითელი რაზმი დაეცა მათ თავზე და დასტოვა ხახა მშრალი, აგრეთვე გაიტაცეს, რაც იყო თოფი და პატრონები პოლიციიდან. უწესოება არა ჩაუდენიათ რა. ასეთი ამბებია ჯერჯერობით ლეჩხუმში რა იქნება შემდეგ ამას მომავალი გვიჩვენებს.

ს. მთამავალი.

—

## Vწერილი ოზურგეთიდან.

დღეს არც ერთ სასწავლებელში სწავლა-მეცადინეობა ნორმალურ კალაპოტში არ არის და არც შეიძლება რომ იყოს, რევოლიუციონურმა იდეებმა სკოლაშიაც გაიდგა ფესვები. რევოლიუციის ქარმა იქაც გრიგალივით დაბერა და მოსწავლე ახალგაზდობაც აალაპარაკა. არამც თუ უმაღლეს და საშვალო სასწავლებლებში, არამედ დაბალ სასწავლებლებშიაც გამოისმის ხმა პროტესტისა. 5 დეკემბერს ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა განუცხადეს მზრუნველს, რომ მათ არ შეუძლიათ იუქმონ ნიკოლოზის დღეობა; არ შეუძლიათ შეიკრიბონ ეკლესიაში და ქება-დიდებით მოიხსენიონ ხალხის მოსისხლე მტრები. ნაცვლათ ამისა გავმართავთ ხვალ მიტინგს და მტრობასა და ზიზღს შევუთვლით ყველა იმ პირებს, რომლებიც ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევენ დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობასო. მეორე დღეს მოსწავლე ახალგაზდობამ თავი მოიყარა სკოლის დარბაზში. ამ დღეს მოასვენეს ნატანებიდან კაზაკებისაგან

ბათუმში მოკლული ანდრია კობალიშვილი. სკოლაში თავმოყრილი ახალგაზრდობა წითელი დროშით გაჰყვა განსვენებულის გვამის შესაგებლით, შეუერთდენ ხალხს და „Вы жертвою пали“-ს და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებით აასვენეს მიცვალებული ეკლესიაზედ. შემდეგ, იქიდგან გამობრუნებულებმა ვარშავიანკას სიმღერით ჩამოიარეს ქალაქის უმთავრესი ქუჩები. ქალაქში მათ შეუერთდენ ნოქრების ერთი ნაწილი დიდი წითელი დროშით, რომელზედაც კ. მარქსის და ფრ. ენგელსის სურათი იყო დახატული. დემონსტრანტებმა ჩამოიარეს სიმღერით ბაზარი და ავიდენ ქალაქის მოედანზედ. იქ მოითხოვეს ორატორები და გაიმართა მიტინგი, რომელიც გაგრძელდა ორ საათს. პირველათ ქართულათ ილაპარაკა ორატორმა სკოლის რეჟიმზედ და აღნიშნა, თუ რა როლს თამაშობდა და თამაშობს მოსწავლე ახალგაზრდობა დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შემდეგ აგრეთვე გაკვრით ბათუმის ამბებს. მეორე ორატორმა ილაპარაკა რუსულათ. მან ვრცლათ დაახასიათა დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა და ვრცლათ გააცნო საზოგადოებას ბათუმის ამბები. ამის შემდეგ მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ შესძახეს მარსელიეზა და მიტინგიც დაიშალა.

15 დეკემბერს სამოქალაქო სკოლის სასწავლებლის დარბაზში მოხდა მოსწავლეების და მშობლების კრება. პირველათ ილაპარაკა ბიუროს წევრმა. მან სთქვა, რომ თუ სკოლას არ დავეხმარეთ ნივთიერათ შეუძლებელია მან იარსებოს და ამისათვის საჭიროა როგორმე დავეხმაროთ ამ მხრივო, მოვიყვანოთ ბიუროს გადაწყვეტილება სისრულეში და გადავიხადოთ სამ-სამი მანათი, ამისათვის არის მოწვეული ეს კრებაო. უმრავლესობა ორატორებისა იმ აზრის იყო, შესაძლოა და სასურველიცაა სწავლის გაგრძელება და როგორმე დავეხმაროთ მას ამ მხრივო. ის იყო, გადასაწყვეტათ ისმებოდა ეს კითხვა, რომ ერთმა ორატორმა სთქვა, მთავრობას უკვე განუძრახავს ამ სასწავლებლის დაკეტვა და რაღას ვლაპარაკობთ სამ-სამ მანეთზე ამ ახალმა ამბავმა ცხარე კამათი გამოიწვია. ბოლოს გამოირკვა, რომ მთავრობას მართლაც მოეწერა მზრუნველისათვის: თუ სკოლა გადავა იმ ბიუროს ხელში, რომელიც ხალხისაგან არის არჩეული, ხაზინიდან ფულს ვერ მიიღებთ და სასწავლებელი დაკეტეთო. ბევრი ილაპარაკეს ორატორებმა და იმ დასკვნამდის მივიდენ, რომ საჭიროა, ამგვარ ბიუროკრატობას მთავრობის მხრივ წინააღმდეგობა გაუწიოთ; მოვიწვიოთ უფრო მრავალ რიცხოვანი კრება და იქ გადავსწყვიტოთ ამგვარი სერიოზული კითხვები. სამ მანეთზე ლაპარაკი ეხლა ზედ მეტია. ამ სიტყვებმა ბ. გორგასლიძე (მზრუნველია) ძალიან აალელვა. „თუ ხვალემდი არ შემოგიტანიათ სამ-სამი მანეთი, მე სასწავლებელს დავხურავ. სხვანაირათ არ შემიძლია მოვიქცე; არ შემიძლიან დირექტორის ბრძანებას წინააღმდეგობა გავუწიო“ო. სთქვა დიდი რიხით ბ. გორგასლიძემ. მას უპასუხეს, რომ სკოლა ხალხის არის და მას არ შეუძლია გაალოს თუ დაკეტოს სასწავლებელი, რადგანაც ძველი ბატონობის დრო გაუქრა ხელიდან.

კრებამ გადაწყვიტა ერთხმათ სწავლა არ შეწყდეს სკოლაში და ეს კითხვები გაირჩეს მომავალ, მრავალ რიცხოვან კრებაზედ.

ამ დღეებში რევოლიუციონერებმა პოლიციიდგან წაიღეს 27 ბერდანკა და პატრონები. ქალაქში ჩვენი პატრულები დადიან.

ა. რ.

---

## სოფლათ

დ. ხონი. 20 დეკემბერს ხონში განშორებულ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციების შეხათანხმებლათ მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. კრების გახსნისას, კრებაზე დამსწრე ამხანაგებმა, ილია ბახტაძის წინადადებით, ფეხზე ადგომით, ქუდის მოხდით, სამგლოვიარო სიმღერით: „შავი ღრუბლები თავს გვევლებიან“ პატივი სცა ჯალათების მიერ წამებულ შმიტის ხსოვნას. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა, იასონ ბახტაძის მოხსენება განშორებულ ფრაქციების მომავალ გაერთიანებაზე და იმ პირობებზე რა პირობებითაც შეიძლება განშორებულ ამხანაგების შეთანხმება. ამის შემდეგ განშორების მიზეზები განმარტა ალექსანდრე ბახტაძემ და ილია ბახტაძემ-კი დასასრულ კრებისა, მოკლე სიტყვით განუმარტა ამხანაგებს აუცილებელი საჭიროება შეერთებისა, რამაც პარტიის წევრები აღტაცებაში მოიყვანა და გაუმარჯოს შეერთებას“ ძახილით დაიშალენ.—ამ საღამოს ხონში გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს სულ ამ მოკლე ხანში შედგენილი ორიგინალური პიესა „დამნაშავე“ ილია ბახტაძისა. პიესა, აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან და სრულს აგიტაციას წარმოადგენს მთავრობის წინააღმდეგ. პიესის სიუჟეტი მარტივია. მშობლების, დახავსებული შეხედულება მთავრობის სიძლიერეზე და შვილის მრწყინვალე იმედები მთავრობის დამხობაზედ; მამის დარიგება და შვილის ურჩობა; ურჩის მთავრობის მიერ დაბმულ მახეში გაბმა, ოთხ-კედელ-შუა ერთი წლის მწუხარებაში ჩილპობა და დასასრულ ჯალათების მიერ პატიოსან მებრძოლის უსინიდისოთ წამება და სახრჩობელა! პიესა მოკლეა, მარა შინაარსიანი, დარწმუნებული ვარ, ამ პიესას დახელოვნებული მსახიობები მალე ითამაშებენ ქალაქებში და ვნახოთ, როგორ მიეგებება მას საზოგადოება.

საშა იმერელი

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ლადო ბზვანელს.

ლადო ბზვანელის წერილმა, სწორე მოგახსენოთ, ძალიან გამაკვირვა. გამაკვირვა მით უმეტეს რომ ის არის საბოქაულოს მასწავლებელთა წარმომადგენელი და, როგორც ვსრეთი, ვალდებული იყო სცოდნოდა „კავშირის“ ყოველიე ნაბიჯი, რომ თავის ამრჩეველთადმი გადაეცა „კავშირის“ ყოველი გადაწყვეტილება. მარა, როგორც მისი წერილიდან სჩანს მას ძალიან ნაკლებათ უდევნებია თვალ-ყური ხსენებულ „კავშირის“ მოქმედება-მოღვაწეობისათვის და ამის გამო იძულებული ვარ მოკლეთ ვუპასუხო მისთვის საინტერესო კითხვებზე.

მართალია, პირველ კრებაზე მასწავლებლებმა დაადგინეს რამდენიმე პროცენტი გადაედვათ კასის შესადგენათ იმ გაფიცულ მასწავლებლებს, რომელნიც რაიმე ბედნიერ გარემოებათა გამო გაფიცვის დროსაც მიიღებდენ ჯამაგირს და ამ ფულიდან დახმარება აღმოეჩინათ უკიდურეს გაჭირების დროს მასწავლებელთათვის. რომ ეს ასე იყო, ნათლათ დამტკიცდა ქალაქის მასწავლებელთა კრებაზე, რომელსაც სახალხო მასწავლებელნიც დაესწრენ. აი, ამ კრებაზე სოფლის მასწავლებლებმა რა უთხრეს ქალაქელებს: „ჩვენთვის უფრო ძვირფასი იყო, გაფიცვაში მხარი მოგვეცათ, სოლიდარობა გამოგვეცხადებიათ, და არა ის ორიოდე გროში, რომელიც თქვენ ჩვენდა სასარგებლოთ გამოგიმეტებიათ. უკანვე მიირთვით თქვენი გროშები. ჩვენ მოწყალებას არ ვთხოულობთ. შემწეობას ჩვენ მხოლოთ გაფიცულ ამხანაგებისაგან ვღებთო“. აი, რა უპასუხეს ნამდვილათ „მშიერმა“ მასწავლებლებმა გაუფიცავთ. ისიც მართალია, რომ მარიობისთვეში მასწავლებელთა საზოგადო კრებამ დაადგინა რამდენიმე პროცენტი გამოერიცხა იმ მასწავლებელთათვის, რომელნიც ხაზინიდან იღებდენ ჯამაგირს, მარა რამდენი შემოუვიდა „კავშირს“ ამ პროცენტებიდან, კი უნდა იცოდეს ბ. ბზვანელმა. სხვა რაიონებიდან რამდენი შეიკრიბა, ეს თუ არ იცით, თუ კაცი ხართ, გვიპასუხეთ, ბ ბზვანელო, რამდენი მოკრიბეთ თქვენს რაიონში და, თუ რამე მოკრიბეთ, ამდენ ხანს რათ არ წარმოგიდგენიათ, „კავშირისათვის“?

ამ საკითხის შესახებ „კავშირს“ უკანასკნელ კრებ ზედაც ჰქონდა მსჯელობა და შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა. რადგანაც პროცენტი ძლიერ ნაკლებათ იკრიბება და დიდი იმედი არც წარმოდგენ-საღამოების შემოსავალს უნდა დავამყაროთ, ამისათვის ემჯობინა მოვთხოვოთ მთავრობას გაფიცულ დროის ჯამაგირები მისცეს იმ მასწავლებლებს, რომელთაც ჯამაგირი ხაზინიდან ეძლეოდათ, იმ მასწავლებელთ კი, რომელთაც საზოგადოება ინახავდა, ხაზინიდანვე აღმოეჩინოს დახმარება (пособие). რაც შეეხება იმ ფულებს, რომელიც წარმოდგენა-საღამოებიდან შემოუვა „კავშირს“, ან პროცენტები მოიკრიბება, სრულათ მოხმარდება ლიტერატურას: დაისტამბოს დეტალური პროგრამები, ბროშურები და სახელმძღვანელოები, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნება.

ზემოხსენებული მოთხოვნილებანი მაშინვე წარუდგინა „კავშირმა“ სახალხო შკოლების დირექტორს და მანაც დაკმაყოფილება აღუთქვა. ის აღთქმა დღემდის, მართალია, აღუთქმათ დარჩა, მარა „კავშირმა“ ხელახლა მოსთხოვა დირექციას აღთქმის ასრულება და იმედია აასრულებს კიდეც.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, ბ. ბზვანელო, რომ მართალია მასწავლებლები დიდ გაჭირვებას ითმენენ, ბევრი მათგანი მარტიდან მოკიდებული დღემდე ერთი გროშიც არ აუღიათ, მარა ეს მართლაც და „მშიერი“ მასწავლებლები ყოველივე გაჭირვებას ქედმაღლათ გმირულათ იტანენ და თხოვნა-მუდარით არავის აწუხებენ. თქვენ კი, ბ. ბზვანელო, შიმშილისაგან ღმერთმა დაგიფაროსთ, ჯერ არ მოგშივებიათ საამისოთ, როგორც გადმოგვცეს ადგილზე ბძანდებით, ალბათ ჯამაგირსაც უკლებლივ იღებთ და, თუ კაცი ხართ, ტყუილა ნუ უწევთ ხელს „კავშირის“ შემწეობისათვის.

„კავშირის“ მინდობილებით
ი. ნიკოლაიშვილი.

---

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ლორთქიფანიძე.

---

# განცხადება.

### ჟურნალ-გაზეთების ხელის-მომწერთა საყურადღებოთ

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „კოლხიდა“-ში,

რომელიც დაარსებულია იმ მიზნით, რომ გაუადვილოს მკითხველებს ჟურნალ-გაზეთების გამოწერა მთელ გუბერნიაში, ვიღებ ხელის მოწერას როგორც თფილისის, ისე სატახტო ქალაქების გამოცემებზე. ხელის მომწერნი რედაქციებში ფულის გასაგზავნს აღარ იხდიან. კანტორა აწარმოებს აგრეთვე გაზეთების გაყიდვის საქმეს, როგორც კანტორაში, ისე გამყიდველების საშვალებით ქუჩებში ყველანაირი გაზეთები იყიდება იმ ფასებში, რაც ზედ არის აღნიშნული.

[illegible] ჯიქიაძე.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო [illegible] ბიბლიოთეკა

ქუთაისი. ელექტრონით სწრაფმბეჭდავი ი. კილაძის და ი. ხელაძისა, პუშკინის ქუჩა, მანჯოს შენობაში.